საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტ ბ. ოთხშაბათი, 19 მარტი 1919 წ. პროლეტარეგო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ალიონი

ფასი 75 კაპ.

ფასი 1 ეიმის: 1 თვით 18 ნაბეჭდი ფურცელი ნომერი ღირდა 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე; ასე შეთანხმებულ მეტების სტრიქონი—1 მან. საბოლოოდ ადგილი განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები ან ანგარიშები. ფულებელ საგაზეთო მასალას ანგარიშ-ა არ ინახავს, ავტორებს ფული ვერ დაუბრუნებს და ამისაგან ანგარიშ-ბოლშევიკ კისრულობს.

ხელის მოწერილებმა ფული შემდეგი მიმართ ეგზავნოთ: თბილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ალიონის“ redakcia სხვა ადგილსაც გამოგზავნილ ფულ redakcia ვერ მიიღებს. redakciaში მისამართი შესაბამისად ბეჭდავს 10—12 საათამდე redakciaსა და კანტორას ადგილზე: თბილისი, გოლოვინის პრ. № 34.

ტელეფონი 16—62.

№ 62 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 62

სოფლებ ს მაზრის საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციის კომიტეტი აუწყებს პარტიულ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 16 მარტს სოფ. სვირში გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და აუნაზღაურებელი, ჯერ კიდევ საუსე სიცოცხლით და ენერგიით ამხანაგი, სიღნაღის მაზრის სახ. ავარდის შტაბის თავმჯდომარე

დომენტი პეტრეს ძე გამრეკელაშვილი

დასაფლავება მოხდება სოფელ სვირში 20 მარტს დილის 9 საათზე.

სიღნაღის მაზრის საქართველოს სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს გვარდიელებს და ნაცნობებს, რომ 16 მარტს სოფ სვირში გარდაიცვალა ერთერთი შეუდრეკელი მუშათაგანი გვარდიაში, მებრძოლი და რევოლიუციონერი სიღნაღის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე

დომენტი პეტრეს ძე გამრეკელაშვილი

დასაფლავება მოხდება სოფელ სვირში 20 მარტს დილის 9 საათზე.

თბილისის მუშათა საბჭო. აღმ. კომიტეტის სახელოს კომისია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის, თავისუფლებისათვის მებრძოლის

დომენტი პეტრეს ძე გამრეკელაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს დაასაფლავებენ 20 მარტს სოფელ სვირში. (2—1)

უზომოდ დამწუხრებული შვილები: იოანე, მიხეილ, გრიგოლი, კლიმენტი, ქეთინი, მარია თებრონი და ელენე კოკობიძეები და სიძე გარსევან ჯანჯალია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი დედის

გარგალე გიორგის ასულის კოკობიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს 19 მარტს ნაშუადღევის 4 ს. დასაფლავება ქ. სამტრედიაში მაცხოვრის ეკლესიაზე.

ღრმათ დამწუხრებული დედ-მამა ხარიტონი და მაკრინე, დები: ტასო, კატია, ნატაშა, სიძეები: გერასიმე გაშაკიძე და იოანე ანთაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 მარტს ოთ. სვირში

მარე (მარკოზა) ხარიტონის ძე ჩომახიძე

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (იკატერინის ბოსახვევი № 4) ხუთშაბათს 20 მარტს დილის 10 ს. დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაზე. (2—1)

თბილისის მაზრის ეროგის გამგეობა იწვევს

სკოლების გამგე ინსტრუქტორს თბილისის მაზრის სახალხო სკოლებისათვის. თვიური ჯამაგირი 1400 მან. მაზრაში სიარულის დროს გზის ხარჯის გარდა 80 მან. დღეში. მისამართი: გოლოვინის პრ. № 6.

თბილისის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე დ. ონიაშვილი. (3—1)

ცენტრი და განაპირეგი

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მისი მომავალი მეგეროთ არის დაკავშირებული ეგრედ წოდებულ განაპირა კუთხეების ბედ-იღბალთან: ეს კუთხეები რკალივით არტყიან გარს საქართველოს გულს და მის ბუნებრივ ზღუდეებს, სტრატეგიულ საფარს წარმოადგენენ. მოაზორეთ საქართველოს საინგილო და ლორი, გაგრის კარები და ჯავის ბოგა, „ახალციხე“ და აჭარა და თქვენ მიიღებთ ისეთს გეოგრაფიულ სხეულს, რომელიც მოკლებული იქნება თავდაცვის ყოველგვარ უნარს და პირველ მოსულ მტრის ლუკმად გადაიქცევა.

ამიტომ და არა ტერიტორიის გასაფართოებლათ და იმპერიალისტურ მიზნების მისაღწევათ იბრძვის ჩვენი ჯარი სხვადასხვა ფრონტებზე დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ჩვენს წინაპრებსაც კარგათ ჰქონდათ შეგნებული განაპირა კუთხეების მნიშვნელობა.

მაგრამ კითხვა იბადება: როგორი პოლიტიკა საჭირო, რომ დაცულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობა, რა არის საჭირო, რომ ეროვნული შეუდგეს განაპირა კუთხეებთან და საქართველო გადაიქცეს ერთს მთლიან ოჯახათ?

ჩვენი დემოკრატიულ მთავრობის პოლიტიკას განაპირა კუთხეებში ყველაზე უფრო იწუნებენ რუსეთის ოპიონიტაციის სოციალდემოკრატები და ქართველი ნაციონალდემოკრატები. პირველთ ჩვენ არ შეეხებით, რადგან მათი „ბრძოლა“ ყველასათვის აშკარაა, მაგრამ შეეძლებელია უყურადღებოთ დავტოვოთ მეორენი, ვინაიდან ეროვნულ დემოკრატებს, უფრესად სახელმწიფოებრივ პარტიად მოაქვთ თავი.

ეს პარტია დიდი რიხით აცხადებს მუდამ, რომ ის აუცილებელ საჭიროებათ ადიარებს საქართველოს მიწა წყლის შემოკრეფას და საქართველოს სახელმწიფოს ფარგალში განაპირა ქვეყნების მოქცევას. და ამ „დიდი მიზნის ინტერესისათვის“ მოითხოვს წინდახედულ და ფრთხილ პოლიტიკას.

წინდახედული და ფრთხილი პოლიტიკა რომ საჭიროა, ეს ყველამ იცის, მაგრამ საქმე ის არის, თუ რაში უნდა გამოიხატოს კონკრეტულათ ასეთი პოლიტიკა.

უეჭველ არ არის, ყოველი პარტია და მთავრობა უნდა დაეყრდნოს რომელსაც რიგად ურ ძალას და ამ ძალის შემწეობით გაატარონ ცხოვრებაში თავისი ნაბიჯ-სურვილები. უამისოდ მთავრობა და პარტია კაბინეტის კარჩაკეტილ მოღვაწედ გადაქცეულ.

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც უნდა დაყრდნობოდა რომელსამე ძალაზე და ასეთი ძალა მან დაინახა ხალხში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ არა სოციალისტური და არა დემოკრატიული მთავრობაც კი იძულებული იქნებოდა დღევანდელს პირობებში ხალხს, დემოკრატიას და არა ერთ შეპობილებს და ბურჟუა მემამულეებს დაყრდნობოდა, თუ კი ის მართლა დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბედით.

ჩვენმა მთავრობამაც უყოყმანოდ აირჩია ეს ერთად ერთი სახელმწიფოებრივი გზა: როგორც ახალციხე-ჯავახეთში, ისე ჯავის ხეობაში და აფხაზეთში ის ცდილობს გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, რომ ამ გზით დაეკავშიროს საქართველოს დემოკრატიას ამ განაპირა კუთხეების დემოკრატია. და თუ რაიმე საყვედურის დირსია ამ საქმეში ჩვენი მთავრობა, ეს საყვედური უნდა ეხებოდეს მის ლმობიერებას გაბატონებულ წრეებისადმი; რამდენიც არ უნდა ვეცადნეთ ბეგების გულის მოგებას, ისინი მაინც ოსმალეთისაკენ დაიწყებენ ცქერას, რადგან საქართველოს არ შეუძლია, კიდეც რომ სურდეს, ოსმალეთს შეეჯიბროს ბეგების გულის მოგებაში მათთვის პრივილეგიების მიცემით.

ერთს ღროს კარგათ ესმოდათ ეს ჩვენს წინაპრებსაც კი, მაგრამ დღეს ვერ გაუგიათ ეს ანბანური ჭეშმარიტება ჩვენებურს ეროვნულ დემოკრატებს. ცხადია: ჩვენი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა სახელმწიფოებრივ შეგნებამდე და ამიტომ ის, რასაც სხვა, სხვა საქმეებთან ერთად ჩვენმა დემოკრატიამ უნდა აკეთოს.

პრესა

„უდღეოვორთი ძაინ“ (№ 57), ხეკათა შორის, სწერს:

„ჩვენ გვინდა ენახოთ თავისუფალი საქართველო ნამდვილათ თავისუფალი, ძლიერი და დემოკრატიული. სუსტი, უორგანიზაციო საქართველო უბედურობა იქნებოდა არა თუ მარტო საქართველოსთვის, არამედ—თავის მეზობელ ერებს და სახელმწიფოებებისთვის. და უკეთუ ერთთავათ გვითქვამს და დღესაც ვიძახით, რომ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ერების უფლებანი დაცულ იქნენ და ყველა მათი პოლიტიკური სმა გასაგონი იყოს, ამას მოვითხოვთ იმ უარალო საბაბით, რომ საქართველო იყოს ძლიერი თავის ყველა ნაწილების და ერების მჭადრო ერთობით (კავშირით) და რომ მისი მთავრობა ეყრდნობოდეს ყველა ერებზე და არა მარტო ერთ ერზე, ერთ ნაწილზე, როგორც არის ეს ახლა.

„ჩვენ გვეგონა, რომ ქართველები ეცდებიან არ ილაპარაკონ იმაზე, რაც მომხდარა, მაგრამ, ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ ისინი არა თუ მარტო ლაპარაკობენ, არამედ—რაც უმოყვარესია, როგორც გამოჩენილნი დაგვცინიან კიდეც „დამარცხებულებს“ „სასირცხვილო მდგომარეობას“.

„ჩვენ გვგონია, რომ ეს ,ცეკვაობა“ თუ არ შეეფერება ქართველ დემოკრატიის სახელს და მისი პოლიტიკური პოზიციას, არამედ—საფლებით ეჩრდილებს მის სახეს.

„და ამ საბაბით, უკეთუ უნდა მაინც მიიღოს ყველასი სიყვარული და თანაგრძნობა, იმან უნდა დაამოწმოს მაგისთანა მოპყრობა სომეხ ხალხთან, და მოიგონოს წარსულის მოუთმენელი შეცდომები, ეცადოს მათი შეწყობრება და დაახლოვება შეურაცყოფილ სომხობასთან და არა თუ დასცინოს „დამარცხებულ“ სომხებს, რომელებიც ამ შემთხვევაში, მტკიცედ შეიძლება თქვა ქვეს, რომ არ არიან დამარცხებული“.

დაცინვა რომ არ შეშვენის დემოკრატიას, ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მაგრამ არ არის მართალი, ვითომ ჩვენ ოდესმე დაცინვით შეეხედენოდეთ სომეხ ერს, რაც შეეხება სომხეთში გაბატონებულ პარტიას „პოლეტიკას,—ის ჩვენ დამდგარ ვველათ მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია.

უკანასკნელი ცნობები

ახალციხის ფრონტზე.

(სამხედრო შტაბის ცნობა.)

15 მარტს, 18 ს. და 45 წ. სოფელ ფოცხოვის მიმართულებით არ შეწყვეტილა. დაზვერვის დროს გამოირკვა, რომ მტერი ს. ფოფანოდან ჩრდილოეთით მაღლობებზე მაგრდება. გუშინ მტერი, რომელიც ს. ვადელადან გავდენილ, გაიქცა ჩრდილო-დასავლეთით, სადაც შეეტაკა 1-ლი პოლკის როტას და დიდი დანაკლისი ნახა. როტას მხოლოდ 8 კაცი დაეკარგა.

16 მარტი, 9 ს. და 55 წ. სოფელ ფოცხოვიდან არ სწყდება. დღეს დილით შეუდგებით ფოცხოვის წინააღმდეგ მოქმედებებს სტრატეგიული მოსაზრებით.

16 მარტი, 18 ს. და 55 წ. ჩვენი ჯარის ჩარაღთან წინწყნეტის დროსაც ბადელის რაიონის მაღლობებიდან მათ სროლა აუტეხეს. ჯარმა შეუტია მტერს და სამხრეთით უკან დაახევინა. მტერს ტყვიისმფრქვეველები აღმოაჩნდა. 16 საათზე ჩვენი ჯარი გადავდა ჩილვან-შელდატრის მაღლობებს.

16 მარტი, 21 ს. და 40 წ. სა შელდატრთან ბრძოლაში მტერს ქვეითა პოლკმა წაართვა ტყვიისმფრქვეველი. სალამოთი ჯარებმა მთაღწევს შეაწყალს, შეადგინეს, ჩილვანსა და ჩირალს.

გუშინ 16 მარტს ფოცხოვის რაიონის რამოდენიმე მცხოვრებლები მოვიდენ ჩვენთან ბოლოჩინელების გამოსაცხადებლათ, დღეს, 17 მარტს ფოცხოვის რაიონის 62 სოფლის წარმომადგენელნი მოვიდენ გენ. კვინიტაძესთან სოფელ ვადელში და მოსთხოვეს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა. მათ განაცხადეს, რომ მზათ არიან მიიღონ ჩვენი პირობები.

ჩვენს მოგვისმენათ

(ახალციხის გარშემო).

ახალციხეში მომხდარ ამბებზე ლაპარაკი და წერა ჯერაც არ დასრულებულა. პრესა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მთავრობა თუ პარტიული დაწესებულებები, გაცხარებით კამათობენ ახალციხის გარშემო და მომხდარ ამბებს ყველანი თავისებურათ ხსნიან.

დღეს ახალციხის საკითხი თვით ადერბეიჯანის საგანთაც კი გადაიქცა, ცხადია, ახალციხით დაინტერესებულნი ვართ არა თუ მარტო ჩვენ, არამედ—თვით ჩვენი მეზობლებიც, რომელნიც ქართველ მუსლიმანებს ერთმორწმუნე თავის ხალხათ ითვლიენ.

რა მოხდა ახალციხეში და სად არის სათავე მოხდარ ამბებისა?

ამ სტრიქონების დამწერი ქართველი მუსულმან, აჭარელი გახლავარ. ხუთი წელი გავატარე სტამბოლში და ამ ხანს გაჩხავლობაში არა თუ შეგისწავლე ოსმალეთის პირობები და წყობილება, არამედ—რაც უმთავრესია, ვიგრძენი მთელი თავისი სიმწვავით ის ტრაგედია, რომელსაც განიცდის „ბა ჯვარედინზე გაჩხარებული, ებედური სამუსლიმანო საქართველო. მე იქ, სტამბოლში, პირველათ ვიგრძენი, რომ მე ქართველი ვიყავი, მხოლოდ ბედის ტრიალს დედინაცვლების ხელში ჩავეგდე, მიმეტოვებინა დაიძლი დედა და ეთაყვანებინა ისე ობოლი ობოლთა შორის არ ვყოფილ-ვარ, როგორც იქ, სტამბოლის ქუჩებზე, სადაც ყველაფერი უცხო იყო ჩემთვის და საოცნებო საგნათ კი საქართველო გადამქცეოდა. უნდა ვალიარო, რომ სამუსლიმანო საქართველოს საკითხი ოსმალეთისთვის გაცილებით უფრო ნათლად და გარკვევით სდგას, ვინემ ეს ჩვენთვის—საქართველოსთვის.

ოსმალეთს ერთი რამ სწამს და ერთ რასმეს ეტრფის. ბათუმი, პარტაანი და ახალციხე მუსლიმანობით არის დასახლებული, მაშასადამე, ის ოსმალეთის მფარველობის ქვეშ, ან უკეთეს შემთხვევაში, მის ნაწილში უნდა შედგებოდეს. სადაფერ არ ანბრძოლებს ოსმალეთი, ამ მიზნის განსახორციელებლათ ის ეყრდნობა ბნელით მოცული სამუსლიმანო საქართველოს რეაქციონურ ბეგებს და იმ აგენტებს, რომელთა შესანახავათ თავიდანვე დიდძალ ფულს ხარჯავდა ოსმალეთი. აქ ოტომანის იმპერიის გზა გარკვეულია, მან არ იცის მისაღები მოხვეევა, ის ეულებრივალოთ არავეს ენდობა, მას ამ საქმეში ჰყავს თუნდ ისეთი დაბმარნენ, როგორიც არიან აღერბეიჯანის მუსავატელები, რომელნიც ეკეთეს შემთხვევაში სტამბოლელ ახალგაზრდა ოსმალთა პარტიას მოგვაგონებენ. ჩვენთვის კი სამუსლიმანო საქართველოს საკითხი ხხოლოდ ერთის მხრით არის გარკვეული და ესაა:

ის შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს, ის ისტორიულათ ქართველ ხალხს ეკუთვნოდა და ეკუთვნის, ქართველი მუსლიმანება და ქრისტიანები ერთ ძმები, ჩვენ ერთ-ოა დედის შვილები ვართ. ეი რა არის ჩვენთვის უდავო, ეი რას ვეტრფით როგორც მუსლიმანი ქართველები, რომელნიც კი ვგრძნობთ თავს ქართველებათ და ჩვენთან ერთად მთელი საქართველო. ხოლო როცა ცხოვრებაში დაიწყებთ გატარებას ამ აზრებისა, ჩვენ გზები გვეშლება, ჩვენთვის სამუსლიმანო საქართველო ისეთ უცნობ ქვეყნათ იქცევა, რომ არც კი ვიცით რა ენით დაველაპარაკოთ ამ მოგანო, მშრომელ მუსლიმან გლეხობას.

დაწყებული ბათუმის ტრაგედიიდან, ვიდრე დღემდე ჩვენ ვერ მოვნახეთ სამუსლიმანო საქართველოში ვერც ერთი გარკვეული ხაზი, რომელსაც უნდა გაყოლოდა საქართველოს მთავრობა და ქართველოს გერთიანებისა. ბეგრისაგან გამიგონია, რომ სამუსლიმანო საქართველოში მხოლოდ ბეგების დახმარებით შეიძლება საქართველოს იდეიის განმტკიცებაო, ხოლო მეორენი კი ფიქრობენ, არც ბეგების მომდურებას და ამავე დროს კი ხალხში დემოკრატიული იდეების გავრცელებასაც. დაბურწმუნეთ,—ასე რომ ოსმალეთს ეშუშანა თავის პანისლამისტურ მიზნების განსახორციელებლათ, დღეს ჩვენში შეიძლება მომხრენიც არ ყოლოდა. ასეთი გაურკვევლობა, ერთი ხაზის უქონლობა დაამარცხებდა მის გავლენას. სწორეთ ასე მოგვდის ჩვენ დღეს, რაც მჭერმეტყველურათ დამტკიცდა ამ ერთი თვის წინეთ ახალციხეში.

მე მოწმენი ვარ ახალციხის მაზრაში ბოლოსწინანდელ თვეებში გაჩაღებულ დიდ მუშაობისა საქართველოს მთლიანობისათვის და მოწმენი ვარ აგრეთვე იმ ტრაგიკულ დღეებისა, როცა ზევით ნათქვამმა წინააღმდეგობამ დაამარცხა ეს მუშაობა და დღეს კი დამნაშავის სკამზე დასვა ის გლეხკაცობა, რომელიც სრულიად უდანაშაულო იყო ამ ავანტიურაში. და ყველა ჩვენს ნაბიჯებს იზიარებდა. ყველა ამაში დაეარწმუნდი, როცა ვხელმძღვანელობდით ახალ-ციხეში გამოსულ ბანაკ („ბანაკი“ ეს ოსმალეთის „ბანაკ“) თურქულ განყოფილებას და ბოლოს კი ერთი თვის ახალციხის ტყვეობაში, როცა ყარსის მთავრობის ავანტიურისტი ათაბეგოვი იქ დათარეშობდა და ყველა მოწინავე ქართველი მუსლიმანები ახალ-ციხის ციხეში ვისხედით. ჩვენ სულ ორი თვე ვიყავით ახალციხის მაზრაში და ამ ხანს განმავლობაში რაც გადეთდა გლეხკაცობის შორის, სწორეთ ბი ამის ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი ჯარი ასე ადვილათ შეეყარა დღეს ახალციხეში, თვით უძნელეს განსასვლელ ადგილას—აწყურში, ჯარს შეხვდა ხხოლოდ ავანტიურისტთა მცირე რაზმი, ხოლო ხალხმა უარი განაცხადა ბრძოლაზე.

თავიდანვე ახალციხის მაზრაში ორი ძალა მუშაობდა, ერთი იყო დემოკრატიული და ეყრდნობოდა მშრომელ გლეხკაცობას, ხოლო მეორე იყო რეაქციონერი და ეყრდნობოდა ზოგიერთ ბეგებს. პირველს მეთაურობდა მთავრობის რწმუნებული რუხაძე, ხოლო მეორეთი სათაურში ედგნენ ქართველი თავადაზნაურობა და ყველა ისინი, ვინც განაწყენი იყვნენ რეფორმებით. ერთის შეხედვით ყველანი, ვინც ახალციხეში შეეყარნენ საქართველოს მთავრობის სახელით, ემსახურებოდნენ მართლაც საქართველოს, მაგრამ სინამდვილეში კი სხვას ვხედავდით. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ყველას გასაგონათ გაიძახოდნენ: „დაგვლეტავს მიწის რეფორმა, ხალხს არ უნდა თქვენი მიწა, ხალხს თქვენ თავს ბეგები ურჩევნიაო“, და ამავე დროს იმათ გვერდში მუდამ დაინახავდით ამა თუ იმ ბეგს. ამ გვარათ, ძალა, რომელსაც უნდა ფაყრდნობოდა მთავრობის წარმომადგენელი რეფორმების გასატარებლათ, თვით გადაჭრით გმობდა ამ რეფორმებს და მდაბიო ხალხში თავის მოქმედობით მისი განხორციელებას ეშავს ბადებდა. ხოლო როცა ფოცხოვთან პირველი შეტაკება მოხდა, მაშინ ზოგიერთებმა ხმა მაღლა დაიწყეს ყვირილი: შეიჭერეთ მიწების ჩამორთმევა და ყველაფერი შეჭერდებოდა. რას ნიშნავს ეს? ვის ემსახურებოდნენ?

ეი მიზეზები, რომელმაც დაასუსტა ჩვენი პოზიცია ახალციხეში და არა ის, თითქო მთავრობის რწმუნებულს რუხაძეს ეწარმოებოდა შემცდარი პოლიტიკა, რომელმაც ხალხი აგვიჯანყა. მე გადაჭრით შემიძლია ვალვაარო, რომ თვით რუხაძე მუსლიმან გლეხკაცობაში იმდენათ ჰპოპულიარული და ცნობილი იყო, როგორც მშრომელი ხალხის ერთგული, რომ თვით ათაბეგოვის მთავრობის დროსაც კი მუსლიმანი გლეხები ლოცვა კურთხევით იხსენიებდნენ, ხოლო თუ მის წინააღმდეგ დღეს ამხედრებულნი არიან ზოგიერთი პირნი, ეს არაფერს არ ლაპარაკობს გარდა იმისა, რომ რუხაძემ პირნათლათ შეასრულა დაკისრებული საქმე, ის მუდამ მეგობრათ და ნიყვარულათ იყო იმ ხალხთან, რომლის დაცვაც დაკისრებული ქონდა; პირველი ისტორია იტყვის ვინ რა გაკეთა ახალციხეში და ვის რა წილი მიუძღვის. მაგრამ აქ არ არის სათავე ახალციხეში მომხდარ ამბებისა. ის უფრო შორს იწყება, მთავარი ესენი მას ოსმალეთში აქვს და მიზნათ ისახავს სამუსლიმანო საქართველოს ჩვენზე მოწყვეტას. მოძრაობა დაიწყო ფოცხოვიდან, 20 იანვარს ჩვენ უკვე გადაგვჭრეს ზემო აჭარის გზა, ვინაიდან ამ გზით მოდიოდნენ ახალციხეში ზემოაჭარიდან და გვთხოვდნენ მუსლიმანთა რაზმი გაგვეგზავნა იქ, მათი სურვილი იყო საქართველოსთან ყოფნა და ცხოვრება, ჩვენ ეს უნდა შეგვესრულებია იმ ხანებში, მაგრამ ფოცხოვის ავანტიურამ ამაში ხელი შეგვშალა. საბუთიანოდ, დღესაც გრძელდება ეს გაურკვეველი პოლიტიკა. ოსმალეთის აგენტები დღესაც ახალციხეში დაბრძანდებიან: ათაბეგოვის მინისტრები არხეინათ შესცქერიან ახალციხის უბედურებას და მათ ავანტიურის ნაყოფს კი მკინან უდანაშაულო გლეხები. სამუსლიმანო საქართველოს ამოცანა უნდა ახსნილ იქნას, ჩვენი გზა გარკვევით უნდა გამოისახოს. ხალხის სრული განთავისუფლება, უფლებათ დემოკრატიული პოლიტიკა და მისი გატარება დემოკრატიის ხელით, ეი რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ დღეს, წინაალმდეგ შემთხვევაში მშრომელ ოსმალეთის აგენტებს. ისინი ყოველ მარჯვე დროით ისარგებლებენ. ამის მაჩვენებელია თუნდა ის, რომ დღეს ახალციხის „ბუბრები“ და სხვანი კი მომხდარ ამბების მთავარ დამნაშავეთ რაცხენ ახალციხელ სოციალდემოკრატებს, რომელნიც მეთაურობდნენ მიწის რეფორმის გატარების საქმეს, მიწის მუშათა საბჭოს მუშაობას და საერთოდ კი ჩაქოფილი იყვნენ ბოგანო მშრომელ გლეხკაცობაში და მათ ხელფეხზე დადებულ ბორკილებს ამსხვრევდნენ. უკანასკნელ დღეებში კი ახალციხეში ეს ვატბატონები იქამდისაც მივიდნენ, რაც მოგვაგონებს ნიკოლოზის დროს, მოითხოვდნენ ახალციხეში არ ყოფილიყო სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია. აწყურიდან ახალციხემდე გაეწმინდათ ადგილები. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რეაქცია, რომელიც ნიადაგს უმზადებს ბეგრეულ რეაქციის გაბატონებას ყარსის მთავრობის სახით, დაესწრაფვის ბევრ უნდა ჩაიკლას. მშრომელი ხალხის პოლიტიკა ეს მიუხვეველი უნდა იქნეს და მხოლოდ მაშინ მივიღებთ შესაფერ შედეგს, მხოლოდ მაშინ მიგვიღებთ ახალციხელ მუსლიმან და ქრისტიან გლეხობის სოლიდარობას. ნაციონალიზმი უნდა განიდევნოს, ის მისიონერი მიდდლები, რომელიც ასე გაყვარიან დღეს ახალციხეში სოციალდემოკრატიის ლაბატზე დაუყონებლივ განდევნილ უნდა იქნენ და მასთან ერთად უნდა გაიწმინდონ ისინიც, რომელნიც დღეს ერთი ენით ლაპარაკობენ ხოგიერთ „დიდ“ პირებთან. ამის შემდეგ კი ხალხის მართველობა თვით ხალხის ხელებით.

ეი ეს გზა საქართველოს გზა საერთოთ და მას ვერ ასცდება ვერც სამუსლიმანო საქართველო.

როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან მშრომელ ქართველ ხალხს ერთი გზა აქვს და ერთი მიზანი. ეს გზა ყველგან გარკვევით უნდა გამოისახოს, ის ყველასათვის დასანახი უნდა იქნას.

ნათელ საქმეს ბურუსში ნუ გავახვევთ.

ახლან (იგივე ალი) ეფენდი
დეკანოიძე.

დაკფუძნებელი კრება

18 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. დეკანოიძე.

დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი: პრეზიდიუმის წევრთა არჩევა, სხვა და სხვა კომისიების არჩევა და I-ელ. დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილი საკანონმდებლო წინადადება.

რ. არხენიძის წინადადებით საკანონ-

ᲓᲦᲔᲘᲡ

ახალციხის ფრონტზე ჩვენი ჯარების ხარდალს, გენ. კვინიტაძეს, წარუდგა ხაზოგადოებათა დეპუტაცია, რომელმაც ხითხოვა ხომარი მოქედების შეჩერება და აღუთქვა ყოველ მოთხოვნათა ახრულება.

ბარიზის გაზეთების ხიტყვით ოხმალეთი დარჩება პატარა ხახელმწიფოთ, მხოლოდ მცირე აზიაში. მოხდება ხტამბოლის და ხრუტეების ინტერნაციონალიზაცია.

იტალიის ტერიტორიალურ მოთხოვნილებათა განხილვა ხაზავო კონფერენციამ გადახდო. მოხალოდნელია იტალიაში ხურსათის და ხათბობი მასალის ხრულიად გამოლევა. ეს გარემოება კონფერენციის მხრით მეტ უურადღებას იბურობს.

რუხეთის ხაბჭოთა მთავრობამ ხცონ ბაშკირეთის ავტონომიური რეხპუბლიკა. ბაშკირეთის ქარხნები და მაღაროები ხაბჭოთა მთავრობის განკარგულებაში იქნება, ჯარი წითელი არმიის შემადგენლობაში იქნება, ჯარი წითელი არმიის ხელმძღვანელი ბიურო თერთმეტი კაცისაგან. ფრაქციაში არჩეულია: სილ. ჯიბლაძე, რ. არსენიძე, კ. ნინიძე, კ. ანდრონიკაშვილი, პავ. საყვარელიძე, ნიკო ელიავა, გრ. ურუტაძე, გრ. გიორგაძე, ნ. ცინცაძე, რ. ჩიხლაძე, ლ. ნათაძე.

ბიურომ თავის პირველ ხხდომაზე აირჩია პრეზიდიუმში თავჯდომარე რ. არსენიძე, მის ამხანაგებათ ნ. ელიავა და კ. ანდრონიკაშვილი. მდივნათ გრ. ურუტაძე. ფრაქცია მითავსებულია პარლამენტის ფრაქციის ყოფილ ოთახში.

ᲓᲔᲞᲔᲣᲢᲐᲗᲘ

(საქართველოს დეპუტათა საგენტო)

18 მარტი

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარ. 17. ხერდლოვის ხსოვნის აღსანიშნავად მოსკოვის ხაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დღეს თეატრალურ მოედანს დარქვას ხერდლოვის ხახელობის მოედანი და დადგას მოედანზე ხერდლოვის ძეგლი, რომლის ასაშენებლად გადაიდო ერთი მილიონი მანეთი. ძეგლის პროექტზე დანიშნება კონკურსი. ხუკეთესო პროექტის ავტორს მიეცემა 50 000 მანეთი. განთლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილება იწვევს მხატვრების, მოქანდაკეთა და არქიტექტორების ხერთაშორისო კონფერენციას. **ვარშავა.** მარ. 14. პოლონეთის ხაბჭოებმა გამოიტანეს რეზოლიუცია მოიწვიონ ამრჩევლთა პოლონეთის საბჭოთა ყრილობა. **კიშინიოვი.** მარტის 14. მეამბოხეთა მოძრაობა ძლიერდება, რუმინიის მთავრობა ვერ უმკლავდება მეამბოხეთ. **მოსკოვი.** მარ 17. ხამხედრო ცნობა. ეკატომარის მიმართულებით მტერი დავამარცხეთ. ქრისტიანოვკას აღების დროს წითელმა ჯარმა ხელთ იგდო 14 ორთქლმავალი, 295 ვაგონი, 500,000 ფუთი შაქარი, 8 საბარგო ავტომობილი და ხხვ... ადესის მიმართულებით კოლოტოვკას და ბერეზოვკას რაიონში ბრძოლებია. გუშინ მტერმა კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე უკუაგდო. **მოსკოვი.** მარ. 17. გაიხსნა ბალშევიკების მე 8 ყრილობა. **კაზატინი,** მარ. 15. პეტლიურის გაზეთი „უკრაინსკაია სტაყკა“ იუწყება, რომ კიმენიც პოდოლსკში გაიფიცენ სტამბის მუშები და საპარიკმახეროში მომუშაველები. ადგილობრივმა კომიტეტმა ჯარის და მცხოვრებთა "მიმართ პროკლამაციები გამოუშვა. **ვარშავა.** მარ. 14. „ვარშავის გაზეთი“ იუწყება, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში თათბირობენ საფრანგეთთან პოლონეთის რკინის გზით შეერთებაზე. რკინის გზა გაივლის შვიცარიას-ტიროლს-სამხრეთ ლოვანეთს და ჩეხიას. **პარიზი,** მარ. 9. პარიზის გაზეთი „ეხო დე-პარი“ წინადადებას იძლევა ბოიკოტი გამოუცხადონ მოკავშირე სახელმწიფ. რუსულ ფულს და შესწყვიტონ მათი გადახურდავება. **ნიუიორკი.** მარ. 16. ბადენის დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა პროტესტი საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან უკანასკნელი ფიქრობს ნამდვილი გერმანული ბადენის ტერიტორიის და რეინის მარჯვენა მხარეზე მდებარე ადგილების შემოერთებას. **ჟენევა.** მარ. 14. სედლეცში სამხედრო წესები გამოცხადდა. პოლონეთის კომუნისტების გამოსვლების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღეს. **მოსკოვი,** მარტის 17. ბაშკირიის მთავრობის დელეგაციის და საბჭოთა მთავრობის შორის შეთანხმება მოხდა. ამ შეთანხმებით შესდგება ბაშკირიის ავტონომიური რესპუბლიკა მცირე ბაშკირიაში, რომელიც რ. ს. ფ. ს. რ. ფედერატიული ნაწილი იქნება. ქარხნები და მაღაროები საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში დარჩება. ბაშკირიის საბჭოთა რესპუბლიკას ნება დართეს იყოლიოს შეიარაღებული ძალა, რომელიც დაიქვემდებარება წითელ არმიის სარდლობას. ბაშკირიის საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ძალა უფლება ყრილობის მოწვევამდე ბაშკირიის რევოლიუციონურ დროებითი კომიტეტის ხელში დარჩება. ბაშკირიის საბჭოთა ძალაუფლების საორგანიზაციოთ, ცენტრალური საბჭოთა მთავრობა ბაშკირიის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას ფინანსურათ დაეხმარება.

ᲔᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ

რადიკალურ პროპაგანდის გავრცელების გამო გერმანიას ეეჩვენა სოციალიზმისკენ გადახრა. წლის დასაწყისში მცხოვრებნი წინააღმდეგი იყვნენ სოციალიზმისა და ბალშევიზმში არ არჩევდნენ მას. ეხლა კი რადიკალიზმმა ფეხი მოიკიდა დამქირავებელთა წარმომადგენლების შორის და ეროვნულ ყრილობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ორივე ჯგუფს თანაბარი რიცხვის წარმომადგენლები ყავთ. განხრახულია საკავშირო საბჭოს გაუქმება და საბჭოთა კავშირის შექმნა, რომელშიც მუშათა წარმომადგენლები შევლენ. ამ ცვლილებას იმით ახსნუთებენ, რომ საბჭოთა კავშირში ყველა სოციალურ წრეების წარმომადგენლები შევლენ—მაშინ, როცა რეისტაგში მხოლოდ ოლქების წარმომადგენლები იყვნენ. ამით სურთ თავიდან აიცილონ აპრილში მოსალოდნელი მუშათა აჯანყება, რომლებიც მოითხოვენ რადიკალურ რეფორმების განხორციელებას და მუშათა საბჭოებს პოლიტიკურათ ცნობას. რადიკალები აგრეთვე მოითხოვენ მრეწველობის აღიარებას, ანუ ფაბრიკების, ქარხნების, ძირნებაზე მუშათა კანტროლის დაწესებას, რადგან კაპიტალისტები არ აპირებენ ქარხნების გახსნას, სოციალიზაციის შიშის გამო.

რადიკალების გამფიცველი საბჭო აცხადებს, რომ მას წილი არ მიუღია ბერლინის აჯანყებაში და მთავრობას აბრალებს, რომ იგი განზრახვით აქეზებდა და ეხმარებოდა ყოფილ რადიკალებს დიტმანის მეთაურობით. ბერლინის უფროსობას არავითარი კავშირი არ აქვს საყოველთაო გაფიცვასთან. მთავრობის დამცველ პოლკების შეჯიბრებამ გამოიწვია სისხლის ღვრა, რის შემდეგ ცარცვა გლეჯას მიჰყვეს ხელი. მთავრობას სურს კომუნისტები ბრბოს შეუერთოს, რათა თავის უძლიერეს მოწინააღმდეგეს ნდობა დაუკარგოს.

ამის გამო იყო, რომ კომუნისტური რადიკალური პრესა ჩაიხშეს და ამავე დროს კი ბურჟუაზიულმა პრესამ „ფორვერსტ“-ის პარტიის წინააღმდეგ გაიღაშქრა. ვოლფის ბიურომ დაიწყო საზოგადოების განსაკუთრებით გაღიზიანება და ბოლოს გამოუშვა ცნობა, ვითომ 150 პოლიციელი მხეცურათ მოეკლათ. ამით ნოსკემ ისარგებლა და უკანონოთ შემოიღო ხამხედრო საველე სასამართლო... (გაუგებარია) ლიუდენდორფის ხამხედრო ზომები დაჩრდილა ებერტის, ნოსკეს და შეიდემანის დესპოტიზმმა და ვოლფის ბიუროს სიცრუემ. სწორმოებს უკანონო დაპატიმრება, კონფისკაცია, ძალმომრეობა, რომლის დროს მცხოვრებთა სიცოცხლესაც არ ინდობენ. ყველა ეს აძლიერებს მძულვარებას მთავრობისადმი, რომელსაც ყოველ ერამს მოელის დამხობა. საერთო მძულვარებას მოსდევს შეიარაღებული შეტაკებები და სისხლის ღვრა, ოპოზიცია სწრაფად იზრდება. მთავრობას ადარ ძალუძს სიწყნარის და წესიერების დამყარება და იგი უნდა შეიცვალოს ახალი მთავრობით, რომელიც მუშათა ნდობით იქნება აღჭურვილი“.

ტყვიის-მფრქვეველთა სამი გვარდიის ბატალიონი გუშინ დილით ჩამოვიდა ლონდონში. ჯარს დიდი ზეიმით შეხვდენ. საფრანგეთიდან დაბრუნებულ მეშმეტალიონს გადაიცა მეფის სალამი.

პარიზის გაზეთები ამ კვირას უწოდებენ „დიდ კვირას“, რადგან გუშინ შეუდგენ ფრიად საყურადღებო საკითხების გადაწყვეტას და პირობების შემუშავებას, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ. იმის გამო, რომ დაპყრობილ ტერიტორიის საკითხი გადაწყვეტილია უკვე, ადვილათ შესაძლებელია, რომ ოსმალეთის იმპერია გადაიქცეს პატარა სახელმწიფოდ, რომელიც მცირე აზიაში იქნება. გამოცხადდება სტამბოლის და სრუტეების ინტერნაციონალიზაცია.

ნიუ-იორკის გაზეთი „ტრიბუნა“-ს პარიზელი კორესპონდენტი სწერს: „დანამდვილებით მართალია ის, რომ ხალხთა ლიგის საკითხი შეტანილ იქნება არა თუ საზავო ხელშეკრულებაში, არამედ ოფიციალურ წრეებში სწამთ, რომ პრეზიდენტი ვილსონი შეიტანს მას წინასწარ ზავის პირობებში. ფიქრობენ, რომ ვილსონი ცდილობს ხალხთა ლიგის იდეის განხორციელებას დაფუძნებლივ შეუდგეს, რათა თავიდან აიცილოს სენატის ოპოზიცია.

შესაძლებელია, რომ მისმა განხორციელებამ საქმე დაამბრკოლოს და ფრანგულ წრეებს ეს გარემოება აწუხებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა პიშონმა პრესის წარმომადგენელთ უთხრა: „მე არ მინახავს ეს დეკლარაცია და საბჭოში არაფერი თქმულა წინასწარ ხელშეკრულებაში მისი შეტანის შესახებ. (გამოტოვებულია) და არა მგონია, რომ ეს შესაძლებელი იყოს. (გამოტოვებულია). უნდა მოველაპარაკოთ ნეიტრალურ ქვეყნებს. მათ შეუძლიათ მოითხოვონ მისი შეცვლა. შეუძლებელათ მიმაჩნია ლიგის საკითხი შეტანილ იქნეს წინასწარ ხელშეკრულებაში, რომელსაც უფრო ადრე მოაწერენ ხელს, ვიდრე ლიგის პირობები მიღებული იქნება. პიშონმა შემდეგ განმარტა, რომ წინასწარ ხელშეკრულებაში შეეგ პრინციპიალური საკითხები, რომლის დეტალები და დამატებანი საბოლოო ხელშეკრულებაში იქნება შეტანილი. პიშონმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, რომ წინასწარ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ხალხთა ლიგის ძირითადი პრინციპები, მაგრამ ეს ჯერ გადაწყვეტილი არაა. ლიგის პრინციპების შესახებ ყველა შეთანხმდა და რა საჭიროა მათი შეტანა წინასწარ ხელშეკრულებაში.

მეორე საკითხი, რომელიც საზავო ხელშეკრულების საფუძველს შეადგენს, არის ხალხთა ლიგის საკითხის აღძვრის შემდეგ ვილსონის მიერ გადადებული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები; ეს წინადადება ომის შემდეგ სრული ეკონომიური თავისუფლების შესახებ, სავსებით ეთანხმება ვილსონის 14 პუნქტს და ეწინააღმდეგება საფრანგეთის და ინგლისის წადილს, შემცირდეს გერმანიის ექსპორტი. დღეს ვილსონი 2 საათს ეთათბირა ბარუზს, მაკ-კორმიკს, ლამონტს, სტრაუსს, გუვერს, დევიზს და რობინსონს. მან მოისმინა ამერიკის ეკონომიურ და ფინანსიურ პროგრამის დაწვრილებითი განმარტება საზავო ხელშეკრულებაში შესატანათ და მოიწონა ის. ყურადღებით მოისმინა აგრეთვე საფრანგეთის და ბელგიის მრეწველნი და სთხოვა მათ შეზღუდონ გერმანიის კონკურენცია დროებით, ვიდრე ადორძინება დაიწყებოდეს. მასთან ერთად მან გამოსთქვა შიში, რომ ამ ზომებს სერიოზული შედეგი მოჰყვება და შეაჩერებს ეკონომიურ სწორწონაობის აღდგენას. მან უფრო მიზანშეწონილად სცნო, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში, ცალკე იქნეს ანაზღაურებული ზარალი და არ ჩაერიონ თავისუფალ ვაჭრობაში. ბოლოს შესაძლებელია, რომ საზავო ხელშეკრულებით ზავის ომთან დაკავშირებული საკითხები ომის შეწყვეტის შემდეგ ადარ იარსებებს და ამით გერმანია დაშვებულ იქნება მსოფლიო ბაზარზე.

ორშაბათს ვილსონმა მონაწილეობა მიიღო ათთა საბჭოს სხდომაში, რომელზედაც განიხილეს გერმანიასთან დასადები ხამხედრო პირობები და პოლონეთის საზღვრების საკითხი. პირველ საკითხის შესახებ ბარუზ, ლანსინგ, ბალფური, ბონარ ლაუ, ტიტონი, ორლანდო, ბარუზ

ზეითაც გამოდის ბ-ნი ფარცხალაძე და კომპანია.

პირველი ბრალდება ეს მოსამსახურეების ჯამაგირებით ომის დროზე დაუკმაყოფილებლობაა. მკითხველი ადვილად გაიგებს, რომ ოლქის უფროსი მგელაძე, რაც უნდა ცდილიყო საერთოსტს, „აკრედიტების“ სიმცირეს თავს ვერ დაადწევდა.

მეორე ს—ძის ქალის გამოცდებზე გამოწვევაა. ფოთის კავშირი რიხიანათ აწყდის მკითხველებს, რომ ექვსი წლის ნამსახურ ქალს გამოცდები დაუნიშნეს. რა მიზეზი იყო კი ის შეუნახავთ. განა ყველა ექვსი წლის ნამსახურთ დანიშნათ გამოცდები? არა. დანიშნა მხოლოდ ს—ძის ქალს და აი რატომ. ფოთის მობილე ს—ძის ქალმა და სენაკისამ მანქანით წაიკიდნენ. ამათ უფროსებიც წამოეხმარნენ. ფოთის და სენაკის კანტორებმა მიღანძღეს ერთმანეთი და შემდეგ კი ორივემ იჩივლა. ფოთი სენაკს უწოდებდა რესპუბლიკის მოღალატეს, და სენაკი ფოთს. ფოთი სენაკის მუშას წუნობდა და სენაკი ფოთისას.

„სიმართლის გამოსარკვევად დაუნიშნავენ გამოცდა ამ დროს მომუშავე მორიგეებისთვინ. სენაკის მორიგე, როგორც გამოცდამ დაარწმუნა ოლქი საკეთესო, მუშა ყოფილა. მხოლოდ ფოთის მორიგე ს—ძის ქალი კავშირმა არ გამოგზავნა გამოცდაზე. ამრიგათ ოლქს, კავშირმა წაართვა საშუალება სიმართლის აღდგენის და ბევრი სხვა, მაგრამ დამახასიათებელია ერთი. ბ-ნი ფარცხალაძე და კომპანია გამოდიან გურია-სამეგრელოს მოსამსახურეების ინტერესების დამცველად. „სახ. საქ.“ ფურცლებზე თუ ეს ასეა, რათ სენაკის მორიგე არ დაიცვენ გამოცდიდან (თუ კი ამას ინტერესების დაცვა კი ჰქვია?) თუ კომიტეტმა თავისი სარეზიდენციო მოსამსახურეების ინტერესები მაღლა უნდა დააყენოს სხვებისაზე?

მესამე—ეს ოლქის უფროსის უდიერი მოპყრობაა მოსამსახურეთადმი. თუ ეს ასეა, კავშირმა, რასაკვირველია უნდა დაიცვას ინტერესები მოსამსახურეების, მაგრამ ეს რა დიდი ასი. კავშირი პრინციპათ იღებს და იცავს მოსამსახურეს, აფია ის თუ კარგი, მტყუანი თუ მართალი. და აი აქ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

დალატობს რესპუბლიკას, დემოკრატიას და თვით მოსამსახურეებს. რესპუბლიკას და დემოკრატიას მით, რომ ჯამაგირს აძლევენებს და საქმეს კი არ [illegible] მოსამსახურეებს მეორეს [illegible] ცოტა [illegible] ეკონომიური მდგომარეობა გაუუჯობესონ, მათ მიუთითებენ დეფექტებზე და ეუბნებიან: აი თქვენ საქმეს ასდენთ და ვერ დაგაკმაყოფილებთო. მოსამსახურეებიც ძალას მოკლებულია, ვინაიდან დემოკრატიის სიმპატია მისკენ არ არის და რაიმე ზომებს ვერ მიმართავს და სხვა.

საერთოდ ბ-ნ ფარცხალაძემ ბევრი წერა „ს ხ. საქ.“ ფურცლებზე. რომ მას საქმის ინტერესი ქონოდა და არა სხვა, ბევრს დაინახავდა განაკეთებს მგელაძის უფროსობის დროს. თუ ჩვენი სურვილი იყო მეტი გაკეთებულიყო, ამისთ ის საქმე და ერთ სულოვანი მუშაობა იყო საჭირო, და არა წერა.

ხიეხი.

მასწავლებელთა კავშირის რეორგანიზაცია

იყო დრო, როცა ლეგალური არსებობა მასწავლებელთა კავშირებისა სანუკვარ საგანს წარმოადგენდა. მაშინ მისი არსებობის მიზანიც სხვა იყო, ყოველი მსგავსი კავშირები, შეიძლება ითქვას, იმდენათ გვაინტერესებდა, რამდენათ მისი საშუალებით დავარღვევდით არსებულ სულის შემხუთველ სახელმწიფო წესის ამა თუ იმ დარგს კერძოთ, და სახელმწიფო წესწყობილებას საერთოდ. ეს დროც გაქრა. მდგომარეობა შეიცვალა. ცხოვრება განახლდა. კავშირების ნებართვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვცხოვრობთ რესპუბლიკაში, რომლის სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგში გამეფებულია უაღრესი დემოკრატიზმი. მაშინ თუ მიზანი დანგრევა იყო, ეხლა, პირიქით, აშენება, გამაგრება და საერთოდ სახელმწიფოს აღორძინებაა. ასე უყურებს საქმეს მასწავლებლობა; და თუ არა, ცხადია, ასე უნდა უყურებდეს ის დღეს თავის დანიშნულებას. რევოლიუციის პირველ დღეებიდან დაარსდა მასწავლებელთა კავშირების მთავარი და მრავალი ფილიალური განყოფილებები. რევოლიუციის პროცესში, როცა სკოლას ჩამოსცილდა მისი რუსიფიკატორი—ბიუროკრატიზმით გაჟღენთილი დირექტორ ინსპექტორები, თითქმის მხოლოდ კავშირები გახდა ხელმძღვანელები სწავლის საქმისა. მნიშვნელოვანი ხელი ითამაშეს ამ კავშირებმა, მაგრამ თვით მათი ტენდენციური აგებულება მიზან შეუწონელი იყო, რის გამოც თან ახლდა დიდი ნაკლულევანება მაშინ, და დღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა გვარი დაყოფის შემდეგ, ეს ნაკლულევანებს მით უფრო ნათელი და ცხადი ხდება თუ ამ კავშირებს შეეხედავთ როგორც ჩვეულებრივ პროფესიონალურს,—მაშინ იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ ნაკლებათ ორგანიული კავშირია ამ კავშირების მთავარ და ფილიალურს განყოფილებებს შორის, საკმაოა მოვიგონოთ წასული წლის მასწავლებელთა გაფიცვა: არ იყო ერთი ავტორიტეტიული ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ამ გაფიცვისათვის, ანდა დაეგეგმა ის. თვით გაფიცვა უადგილო, მიზან შეუწონელი და დაუშვებელი იყო მაშინდელ მოზღვავებულ უბედურობის დროს. მაშინ ერთნაირ ტკივილებს განიცდიდა მასწავლებელთა მთელი კორპორაცია და თუ გაიფიცებოდენ—ყველანი უნდა გაფიცულიყო, ვინაიდან ერთგვარი მდგომარეობა ერთნაირ შედეგებს იწვევს უმრავლეს შემთხვევაში და მით უფრო, ერთგვარი შედეგები უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში. ჩვენ წინაადმდეგს ვხედავდით: მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს მასწავლებლები იფიცებოდენ, აღმოსავლეთში ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა; ანდა წინაადმდეგ. თვით დასავლეთ საქართველოშიც, როცა ერთი ფილიალის მასწავლებლობა იფიცებოდა, მეორესი—მისი წინაადმდეგი იყო. გაფიცულებს შორის, როცა ერთი სეპარატიული გამოსვლით სწავლას ანახლებდა, მეორე კვლავ გაფიცვას განაგრძობდა: როცა გურიის მასწავლებლობამ სწავლა განაახლა, სამეგრელოს მასწავლებლობა კვლავ განაგრძობდა გაფიცვებს; კიდევ მეტიც, უფრო ვიწრო ტერიტორიაშიც არ იყო მასწავლებლების ერთსულოვნება. მაგალითად, გურიაში, როცა ერთი ფილიალური განყოფილების მასწავლებლები მეცადინეობას შეუდგენ, მეორეში გაფიცვას განაგრძობდენ.

ეს მოხდა მიტომ, რომ არ იყო მთავარ და ფილიალურ განყოფილებებს შორის შესაფერი კავშირი, რომ მთავარი განყოფილება შორს იდგა ქვემდებარე განყოფილებიდან და მასწავლებელთა მასიდან საერთოთ. ავიღოთ მეორე მაგალითი მასწავლებლების თვით განვითარების და გონებრივად ამაღლების საფეროდან: მთელი საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებლებს არ მოგვეპოვა ერთი სისტემატიური გამომცემლობა პედაგოგიური ჟურნალისა და ეს მაშინ, როცა მის უაღრეს საჭიროების დღეს, სკოლების გაერთიანების შემდეგ, [illegible] ეროვნების [illegible] ეროვნების [illegible] ეროვნების

21 კოლექტივი, მხოლოდ პირველი თებერვლიდან სასოფლო კომისიის მიერ პროპაგანდისტები დათხოვნილ არიან.

ამხ. ი. ხარატიშვილი აღნიშნავს ჭალათურის კომიტეტის ფინანსიურ მხარეს და ამბობს, რომ პარტიული მუშაობა არ შეგვიჩერებია, თუმცა სასოფლო კომისიამ პროპაგანდისტები დათხოვნილად გამოაცხადა, მაგრამ ჩვენ ჯერ ოთხოდენი თანხა გვაქვს, სანამ ცენტრალური კომიტეტი რამეს დაგვეხმარებოდისო. გარდა ამისა ხარატიშვილმა აღნიშნა შემდეგი: ჭალათურაში არსებობს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელს ხარჯებს ადგილობრივი კომიტეტი კისრულობს, როგორც იყო, მაგალითად, მათ კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნის ხარჯები და სხვ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას ჰყოლია 400 წევრი. ამის შესახებ სამაზრო კომიტეტმა გამოსთქვა სურვილი, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია შემაგრდეს, როგორც დეური, ისე ფინანსიური მხრითაც.

ბელაგორის რაიონიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ლიე ვა. ის ეხება პარტიულ მუშაობას. მოხსენებელი ამბობს, რომ ბელაგორის რაიონში მუშაობა ამ რაიონში დამაკმაყოფილებელია. შეიკრიბა დამფუძნებელი კრების სარჩევნო ფონდიც. სხვათა შორის, მოხსენებელი ამბობს, რომ არჩევნებზე ხალხი სალისით მიდიოდა და ავადმყოფებიც კი მიჰყავდათ საარჩევნო ყუთებთან.

მოხსენებების გათავების შემდეგ პარტიულ მუშაობაზე ლაპარაკობს ამხ. შეტრეველი. განსაკუთრებით ის ეხება მეორე ყრილობის მერე შემუშავებულ ორგანიზაციულ მენებს, აპარატს ორგანიზაციისას, მცირე ერეულებს ... სამაზრო სხვენ ერეულებს, რომლის ცხოვრებაში გაცვლის სასურველად სცნობს ამაზრო კომიტეტი.

ერობის შემადგენლობის შესახებ სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. ბუაჩიძე. მან ეცნობა ინცენდენტს, რაც შეეხება ს. ფედერალისტების ფრაქციის და ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციების შეერთებას ჩვენი კანდიდატის გაზაფხულის შესახებ, მოკუეს ... სხვა მაგალითები ერობის გამგეობის მოქმედებიდან, როგორც არის სამაზრო კომისარის თანაშემწის ადგილზე არა საურველი კანდიდატის გაყვანა, და სასურველი კანდიდატის გაზიგვა. მოჰყავს აგრეთვე საარჩევნო კომისიაში ამ ორი ფრაქციის შეერთება ჩვენ წინააღმდეგ და გამგეობაში ჩვენი ფრაქციის შემცირება, რომელიც განსაზღვრავდა ორი ადგილით. კრებამ ... ამას ანგარიშს, აუქვეს და ამცნობს კრებას, რომ კრებამ საჭიროდ და აუცილებლად მიიღოს ზომები გამგეობის შემადგენლობის გადახალისებაში. ... ერობის, რომელიც ... ორგანოთა მაზრაში, ... ამცნებს თავისი შემადგენლობით ... ხალხის სულიერ განმაცალებას. ამ აზრს გამოსთქვამენ აგრეთვე სოფლის კოლექტივებიდან რაიონის კომიტეტში შემოსული წერილობითი და სიტყვიერი განცხადებები, რომ ერობის გამგეობაში მოექცა ... ...